<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „დ[1]" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$д^1$) ყოველი წლის შედეგების მიხედვით, საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარუდგინოს წერილობითი ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელიც ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე;".

2. 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ყოველი წლის შედეგების მიხედვით, საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს კომიტეტის საქმიანობის შესახებ წერილობით ანგარიშს;".

3. 44-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომიტეტის თავმჯდომარე საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წერილობით ანგარიშს ყოველი წლის შედეგების მიხედვით.";

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ანგარიშის განხილვის საკითხი უმაღლესი საბჭოს ბიუროს შეაქვს საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომის დღის წესრიგში.".

4. 157-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.".

მუხლი 2

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარემ, კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მომდევნო წერილობითი ანგარიში

წარადგინოს 2023 წლის საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია კომიტეტის მიერ 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. 2024 წლიდან კომიტეტის საქმიანობის შესახებ წერილობითი ანგარიშის წარდგენა განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 3. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2021 წლის
№